დისტანციური (online) სასერტიფკაციო კურსი

კარიერის მართვა

კურსის დაგეგმვა

სამიზნე აუდიტორია და საჭიროება, პრობლემები

- სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს თსუ-ის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები, რომელთაც სურთ გარკვეული ორიენტირება საკუთარი კარიერის დაგეგმვის პროცესში. კარიერული განვითარებისთვის გარკვეული თეორიული ჩარჩოსა და პრაქტიკული კომპონენტების გაცნობა
- სწავლის პროცესის პარალელურად სტუდენტები მუდმივად თვითგამორკვევისა და მიზნების დასახვის პროცესში არიან, არსებული გამოცდილება გვიჩვენებს რომ კარიერის დაგეგმვის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის პერიოდში სწორად შერჩეული მოქმედებები, რომელიც საბოლოოდ კარიერულ წინსვლას უწყობს ხელს.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შრომის ბაზარზე საკმაოდ კონკურენტუნარიანი კადრები არიან. კარიერული წინსვლის სწორი მენეჯმენტი და სამოქმედო გეგმის სწორად განსაზღვრა კი მათ უფრო კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოაყალიბებს.
- კარიერის დაგეგმის დროს სტუდენტები ბევრ პრობლემას აწყდებიან მაგალითად ისეთებს როგორიცაა: საკუთარი ინტერესებისა და მიზნების გაურკვევლობა, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების არ ცოდნა, სამუშაოს ძებნის არაეფექტური მეთოდების გამოყენება, საკუთარი კარიერის მართვის არ ცოდნა, მოძიებული სამსახურისა და ცხოვრების ბალანსი ან სწავლასთან შეთავსება და ა. შ. არსებული კურსი მათ სწორედ ამ პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება.

კურსის მიზნების განსაზღვრა

კურსის მიზნები დაკავშირებული სწავლებისა და შესწავლის პროცესში კარიერის მართვის კონპეტენციების განვითარებასთან.

კურსის მიზანია:

- სტუდენტებმა გაიცნონ და გაიგონ კარიერის კონცეფცია;
- გაეცნონ კარიერის განსაზღვრის ელემენტებს;
- შეძლონ კარიერის განმსაზღვრელი ელემენტების გამოყენება პირადი კარიერის განვითარებაში

სტუდენტების სწავლის შედეგები

კურსის შემდეგ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ:

- კარიერის კონცეფციის გააზრება და სწორი გამოყენება
- კარიერისთვის მნიშვნელოვანი პერსონალური თვისებები იდენტიფიცირება
- დაასახელოს პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ცვლილებეი და გარდამავალი პერიოდები, რომელიც მნიშვნელოვანია კარიერისათვის.
- განსაზღვროს საკუთარი კარიერული ხედვა
- განავითაროს სამუშაო ძიების სტრატეგია საკუთარი კარიერული მიზნებიდან გამომდინარე
- შეაფასოს კარიერული ინფორმაციის საჭიროება პირადი კარიერის მართვაში
- შეაფასონ კომპეტენციები, როგორც მათი კარიერული ხედვის ნაწილი
- აღმოაჩინონ განსხვავება საჭირო და საკუთარ კომპეტენციებს შორის პირად კარიერულ ხედვასთან დაკავშირებით
- დაიწყონ ქმედება იმ კომპეტენციების ასათვისებლად, რაც აკლიატ იმისათვის რომ შეესაბამებოდნენ კარიერული ხედვის მოთხოვნებს

კურსის შინაარსი

ტრენინგ კურსის მიმდინარეობისას სტუდენტები შეისწავლიან:

1. **კარიერის მართვის შესავალი.**
    - რატომ უნდა ვმართოთ კარიერა ჩვენ თვითონ?
    - რა კომპეტენციებია საჭირო კარიერის წარმატებული მმართვისთვის?

    დავალება: გაიხსენეთ/მოიძიეთ წარმატებული კარიერის მართვის მაგალითი

2. **რა არის კარიერა?**
    - გლობალური ცვლილებები თანამედროვე მსოფლიოში და მისი გავლენა კარიერაზე

- კარიერის კონცეფცია
- რა არის წარმატებული კარიერა?
- კარიერის თანამედროვე კონცეფციები

დავალება: ხედვა მომავალი მსოფლიოს შესახებ

1. როგორ შეიცვლება ადამიანის საჭიროებები მომავალში? რას დაეთმობა მეტი დრო და ყურადღება.

2. რა კარიერული შესაძლებლობები გაჩნდება მომავალში?

3. კარიერაში რა სირთულეები შეიძლება შეგხვდეთ რამოდენიმე წლის შემდეგ?

3. **თვითშემეცნება და მისი გავლენა კარიერაზე.** ((სახელმძღვანელო: „მართე შენი კარიერა“)
   - თვითშემეცნება
   - თვითშემეცნება და კარიერული დაგეგმვის მოდელები
   - მოტივაცია, შესაძლებლობა და პიროვნულობა

დავალება: კარიერის პროფილი:

1. ჩემი პროფესიული მიზნები

2. მოტივაცია(ინტერესები და ღირებულებები) 3. ნიჭი(მიდრეკილებები, კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი)

4. პიროვნება (პიროვნების ტიპი)

4. **შრომის ბაზრის შესწავლა**
   - კარიერული ვარიანტების შესწავლა და კვლევა
   - პროფესიული საქმიანობის ცვლილება და ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს შრომის ბაზარზე
   - კარიერული ვარიანტები თქვენს აკადმიურ ხარისხთან მიმართებაში
   - „უჩინარი შრომის ბაზარი“ და მისი როლი სამსახურის ძებნაში
   - დასაქმების ფორუმები
   - სწავლის შესაძლებლობების შესწავლა
   - თქვენი კარიერის დაგეგმვა

დავალება: რამდენად მოთხოვნადია თქვენი პროფესია შრომის ბაზარზე? გაითვალისწინეთ თუ არა ბაზრის მოთხოვნები პროფესიის არჩევისას. არგუმენტირებული მსჯელობით გთხოვთ მიმოიხილეთ თქვენი პროფესიის მომავალი შრომის ბაზარზე, არის თუა რა მოთხოვნადი (თუ არის რა განაპირობებს ამას, თუ არ არის რა განაპირობებს ამას).

5. **თქვენი კარიერის დაგეგმვა**
    - კარიერული ხედვა
    - ნაბიჯები და ტექნიკა, რომელიც გამოიყენება კარიერული ხედვის შესაქმნელად
    - კარიერული ხედვის ხარისხის თვითშეფასება
    - კარიერული გადაწყვეტილების მიღება
    - კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი
    - კარიერული გადაწყვეტილების მიღების პრობლემები
    - კარიერული გადაწყვეტილების მართვა
    - რაციონალური გადაწყვეტილების მიღების ალტერნატივა
    - კარიერის დაგეგმვა
    - მოქნილი არასწორხაზოვანი კარიერის გეგმის კონცეფცია
    - კარიერის გეგმის მნიშვნელობა
    - კარიერული გეგმის სტრუქტურა

დავალება: თეორიულ მასალაში მოცემული პრაქტიკული სამუშოები, საკუთარი კარიერის დაგეგმვის შესახებ. თქვენთვის სასურველი ერთი რომელიმე კარიერის დაგეგმვის სავარჯიშო.

6. **სამსახურის ძიების ეფექტური გზები**
    - რამ შეიძლება შეგიშალოთ ხელი სასურველი სამსახურის პოვნაში?
    - რას წარმოადგენს სამსახურის ძიების პროცესი?
    - სამსახურის ძიებისთვის მომზადება: ძიების სტრატეგიის შერჩევა
    - დასაქმების შესაძლებლობების ანალიზის
    - სამსახურის ძიებისთვის მომზადება: დამსაქმებლისთვის თქვენი კანდიდატურის წარდგენა
    - სამოტივაციო წერილი, სივის შევსება
    - სამუშაო ძიების აქტიური ფორმა: წარმატებული გასაუბრება
    - სამსახურეობრივი შემოთავაზების სწორად შერჩევა

დავალება; სამოტივაციო წერილის შედგენა. აირჩიეთ თქვენთვის სასრუველი და საინტერესო სამსახური, დროებითი საქმიანობა ან სტაჟირება. შეადგინეთ სამოტივაციო წერილი შესაბამისი დამქირავებლის სახელზე. წერილის შედგენამდე გაეცით პასუხი ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. ეს დაგეხმარებათ კარგად ორგანიზებული და მიზანმიმართული სამოტივაციო წერილის შედგენაში.

1. როგორ შეიტყვეთ ამ, შესაძლებლობის(ვაკანსიის)შესახებ?
2. რატომ ხართ დაინტერესებული ამ პოზიციით და ორგანიზაციით?
3. რას მოიცავს დამქირავებლის მოთხოვნები?მათგან რომელი მიესადაგება იმ პოზიციას, რომელზეც თქვენ აკეთებთ განაცხადს?
4. რა კვალიფიკაცია გაგაჩნიათ ამ პოზიციაზე სამუშაოდ?
5. ჩამოწერეთ თქვენს მიერ მიღებული განათლება და გამოცდილება, რომელიც მიესადაგება სასურველ პოზიციას.
6. ჩამოწერეთ 2-5 ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი (უნარი), რომელიც გამოსადეგი იქნება დამსაქმებლისთვის
7. გაიმეორეთ ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა თქვენი ამ პოზიციით დაინტერესება.

7. თქვენი კარიერის განვითარების მართვა

- პირადი რესურსების მართვა
- როგორ ვიყოთ წარმატებული სამსახურში?
- პირველი დღე ორგანიზაციაში
- ემოციურად რთული სიტუაციები სამუშაოზე
- კონფლიქტების მართვა
- კარიერული ცვლილებები

დავალება: არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ რატომ არის ან არ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული კულტურა? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ქონდეს დიდ ორგანიაციებში მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ კულტურას?

რამ შეიძლება გამოიწვიოს კარიერული ცვლილებები? გაიხსენეთ თქვენს ირგვლივ არსებული მსგავსი შემთხვევა , რამ გამოიწვიო კარიერის ცვლილება?

8. სამსახური-ცხოვრების ბალანსი

დავალება: 1. რატომ ვერ ვაღწევთ წარმატებულ კარიერას მხოლოდ კარიერულ ფუნქციებზე კონცენტრირებით?

2. ჩამოთვალეთ თქვენთვის 3 ძირითადი ცხოვრებისეული სფერო მნიშვნელობის მიხედვით

3. დაასახელეთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური როლი

4. რა მეთოდები იცით, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი ცხოვრების უკეთ დაბალანსებაში?

5. რატომაა მნიშვნელოვანი დამსაქმებელს ჰქონდეს ოჯახზე ორიენტირებული პოლიტიკა?